ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N31

სხდომის ჩატარების დრო:
26 სექტემბერი, 2023 წელი

სხდომის ჩატარების ადგილი:
რუსთაველის გამზირი N3
ადგილობრივი თვითმმართველობის
შენობაში არსებული სხდომათა დარბაზი

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ამირან კოპალეიშვილი.**

ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

თეიმურაზ ნადირაძე, ჯემალ ბიბილეიშვილი, მაია სიმონიძე, მაგდა კოსტავა, მამუკა რიჟამაძე, ზაქრო მამასახლისი, გრიგოლ შუშანია, გიორგი კილაძე,

სულ: 9 წევრი.

არ ესწრებოდნენ: ბესიკ ხამაშურიძე, დავით ბახტაძე, ნინო ბიბილეიშვილი, ლაშა შალამბერიძე, კობა გურული.

სულ: 5 წევრი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი **თინათინ ბერიშვილი.**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მრჩეველი **ნიკოლოზ ჩეჩელაშვილი,** საკრებულოს წევრები **ელეონორა არჩაია** და **დარეჯან ფხაკაძე.**

სხდომა გახსნა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** და წარმოადგინა სხდომის დღის წესრიგის შემდეგი პროექტი:

1.„ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M^3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშრუტებზე სამგზავრო ტარიფის

ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 აპრილის N177 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

2.„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის N359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

3.„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის N177 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანებისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;

5. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით,პირობებით), იჯარის ფორმით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ისთ თაუნ რეზიდენშელისათვის" სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 9 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ბესიკ ხამაშურიძე, დავით ბახტაძე, ნინო ბიბილეიშვილი, ლაშა შალამბერიძე, კობა გურული.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

დამტკიცდეს კომისიის სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი რედაქციით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის პირველი საკითხის- „ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M³ კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშრუტებზე სამგზავრო ტარიფის ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 აპრილის N177 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"

ზემოაღნიშნულ საკითხზე დადგენილების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(დადგენილების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ქალბატონმა **თ.ბერიშვილმა** აქვე განმარტა: „მოგესალმებით, წარმოდგენილია საკითხი დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, რომელიც გულისხმობს სკოლის მოსწავლეებისათვის ტრანსპორტში 100%-იანი შეღავათის დაწესების და უფასოდ მგზავრობის შესაძლებლობას."

საკითხთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 9 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ბესიკ ხამაშურიძე, დავით ბახტაძე, ნინო ბიბილეიშვილი, ლაშა შალამბერიძე, კობა გურული.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს დადგენილების პროექტი „ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M³ კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშრუტებზე სამგზავრო ტარიფის ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 აპრილის N177 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"

მუხლი 2. დღის წესრიგის პირველ საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეორე საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის N359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"**

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ქალბატონმა **თ.ბერიშვილმა** აქვე განმარტა: „წარმოდგენილია განკარგულების პროექტი, საპრივატიზაციო ნუსხაში ორი ობიექტის დამატების თაობაზე, ესენია კოტე მესხის ქუჩა N24ა-ს ჩრდილო-დასავლეთით 112 კვადრატული მეტრის და მიხეილ ბუხაიძის ქუჩა N2-ის სამხრეთით 101 კვადრატული მეტრის ფართობის მიწის ნაკვეთები, ეს ობიექტები იყო

დაურეგისტრირებელი, ახლა მოხდა მათი დარეგისტრირება, არსებობს დაინტერესებული პირების განცხადებებიც და შეგვაქვს ნუსხაში რათა გავასხვისოთ აუქციონის წესით."

საკითხთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 9 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ბესიკ ხამაშურიძე, დავით ბახტაძე, ნინო ბიბილეიშვილი, ლაშა შალამბერიძე, კობა გურული.

ღია კენჭისყრით, (მომხრე-8, თავი შეიკავა გიორგი კილაძემ) **დ ა ა დ გ ი ნ ე ს** :

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის N359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"

მუხლი 2. დღის წესრიგის მეორე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მესამე საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის N177 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"**

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ქალბატონმა **თ.ბერიშვილმა** აქვე განმარტა: „წარმოდგენილია განკარგულებიას პროექტი, გეგმაში შედის ცვლილება, ემატება სამი ობიექტი, აქედან ორზე ზემოთ უკვე ვისაუბრე და ერთი დამატებით, რომელიც ნუსხაში აქამდეც იყო და ახლა გეგმას ვამატებთ, გუგუნავას ქუჩა N10ბ-ში არსებული 1478 კვადრატული მეტრის ფართობის მიწის ნაკვეთი, რომელზეც გათავსებულია შენობა-ნაგებობის ნანგრევები."

საკითხთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის

თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 9 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ბესიკ ხამაშურიძე, დავით ბახტაძე, ნინო ბიბილეიშვილი, ლაშა შალამბერიძე, კობა გურული.

ღია კენჭისყრით, (მომხრე-8, თავი შეიკავა გიორგი კილაძემ) **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის N177 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"

მუხლი 2. დღის წესრიგის მესამე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეოთხე საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანებისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ"**

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ქალბატონმა **თ.ბერიშვილმა** აქვე განმარტა: „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს „ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანებას" გადავცემთ ჯომარდობის მიმღებ პუნქტს და მეორე ჰოკეის მოედანს, რომელიც ახალი გავაკეთეთ ნიკეას ქუჩაზე."

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

კომისიის წევრი, ბატონი **გრიგოლ შუშანია:** „მოსაზრება მაქვს ამ საკითხთან დაკავშირებით, ჯომარდომა ხომ ძირითადად ტურისტულ ატრაქციად გამოიყენება, ხომ არ სჯობს, რომ გადავცეთ ტურიზმის ცენტრს, ამ ააიპ-ს იმდენი საფიქრალი და სპორტ სკოლის მოვლა-პატრონობის ვალდებულება აქვს და ეს ხომ არ ავაცილოთ."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, ქალბატონი **თინათინ ბერიშვილი:** „ჯომარდობის გამშვები ბაზა გადაცემული გვაქვს უკვე ამ ააიპ-ისათვის და ლოგიკურია ახლა მიმღებიც გადავცეთ."

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ამირან კოპალეიშვილი:** „ტურიზმის ცენტრის დამფუძნებელი მხოლოდ ჩვენ არ ვართ, სხვა თანადამფუძნებლებიც გვყავს და სამართლებრივად არასწორი მგონია მსგავსი ქმედება."

საკითხთან დაკავშირებით დებატები შეწყდა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 9 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ბესიკ ხამაშურიძე, დავით ბახტაძე, ნინო ბიბილეიშვილი, ლაშა შალამბერიძე, კობა გურული.

ღია კენჭისყრით, (მომხრე-7, თავი შეიკავა გიორგი კილაძემ, წინააღმდეგი-გრიგოლ შუშანია) **დ ა ა დ გ ი ნ ე ს** :

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანებისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ"

მუხლი 2. დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეხუთე საკითხის- „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით,პირობებით), იჯარის ფორმით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ისთ თაუნ რეზიდენშელისათვის" სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ"

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ქალბატონმა **თ.ბერიშვილმა** აქვე განმარტა: „წარმოგიდგენთ განკარგულების პროექტს, შპს „ისთ თაუნ რეზიდენშელი" ე.წ. კომპანია „დომინო", რომელიც გეგმავს დაახლოებით 15 მილიონის ინვესტირებას ქუთაისში, შემოსულია განცხადებით, პირდაპირი განკარგვის წესით, 20 წლის ვადით გადაეცეს ილია ჭავჭავაძის გამზირი N2-ის აღმოსავლეთით, იგივე ანჯაფარიძის ქუჩაზე არსებული ორი მიწის ნაკვეთი, რათა მოაწყონ ავტომანქანების შესასვლელი ადგილი, ამასთან ერთად ვალდებულებად იღებს მუნიციპალიტეტის

შენობასთან არსებული 4669 კვადრატული მეტრის ფართობის სკვერი მოაწყოს, გაანაშენიანოს და უზრუნველყოს მისი მოვლა-პატრონობა."

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

კომისიის წევრი, ბატონი **გრიგოლ შუშანია:** „მთლიანობაში რამდენი კვადრატული მეტრის ფართობის გადაცემა ხორციელდება?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, ქალბატონი **თინათინ ბერიშვილი:** „ერთი ნაკვეთი არის 527, ხოლო მეორე-691 კვადრატული მეტრის ფართობის, წლიური საწყისი საიჯარო ფასი სამხარაულის მიერ დადგენილია 17 100 ლარი."

საკითხთან დაკავშირებით დებატები შეწყდა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის მეხუთე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 9 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ბესიკ ხამაშურიძე, დავით ბახტაძე, ნინო ბიბილეიშვილი, ლაშა შალამბერიძე, კობა გურული.

ღია კენჭისყრით, (მომხრე-7, თავი შეიკავა გიორგი კილაძემ და გრიგოლ შუშანიამ) **დ ა ა დ გ ი ნ ე ს :**

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით,პირობებით), იჯარის ფორმით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ისთ თაუნ რეზიდენშელისათვის" სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ"

მუხლი 2. დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

ამით, ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და
საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე
ამირან კოპალეიშვილი